



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 12/31

2023 წლის 24 თებერვალი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისების (ჯილდო) წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისების (ჯილდო) წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/15 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 21/04/2022 წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.111.016513), კერძოდ: 1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5.

განათლების მუშაკებზე მატერიალური წახალისება (ჯილდო) გაიცემა წელიწადში ერთხელ:

- ა) საჯარო ან კერძო სკოლის წლის საუკეთესო მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 1000 ლარისა;
- ბ) საჯარო ან კერძო სკოლის დამსახურებულ მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 1000 ლარისა;
- გ) სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული საჯარო ან კერძო სკოლის მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;
- დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის წლის საუკეთესო მასწავლებლებზე, არაუმეტეს - 1000 ლარისა;
- ე) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების წლის საუკეთესო აღმზრდელ-პედაგოგებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა;

ვ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დამსახურებულ აღმზრდელ-
პედაგოგებზე, არაუმეტეს - 625 ლარისა.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშელაშვილი